საქართველოს მთავრობის

განკარგულება

№496 2012 წლის 23 მარტი ქ. თბილისი

სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებების მიერ საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის სტანდარტის შესაბამისი ელექტრონული პროგრამის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის სტანდარტის შესაბამისი ელექტრონული პროგრამის სახელმწიფო შესყიდვა განახორციელონ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური

სამოქ. სამსახურის ბიურო
CIVIL SERVICE BUREAU
№ 102 27-03 2012
1 ფურცელი

შუქია ნაროზაული

კობა ხუბუნაია